

პრესრელიზი

GIG -საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს ულოცავს სრულიად საქართველოს

კომპანიამ, სოციალურად დაუცველი თბილისელებისთვის თანადგომის გამოხატვის მიზნით, აღდგომის საღვთსასწაულო დღეებში, ტრადიციულად კათარზისის ორგანიზებით გამართულ აქცია „უფასო ცხელ სადილს“ უმასპინძლა.

GIEC - საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის დაფინანსებით კათარზისში 18, 21, და 22 აპრილს მიუსაფარი და უმწეო მოხუცებისთვის სააღდგომო ნობათი დარიგდა ასევე ბენიფიციარებს საშუალება ჰქონდათ 3 დღის განმავლობაში კათარზისში უფასო ცხელი სადილი მიერთვათ.

საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი როგორც სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანია ყოველწლიურად აფინანსებს უფასო სადილებს სოციალურად დაუცველი, უმწეო და მიუსაფარი თანამოქალაქეებისთვის.

22.04.2014

„საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“ (სსეკ) 2005 წლის ივლისში დაფუძნდა. GIEC -, საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის შვილობილი კომპანიაა. ამჟამად „ჯი-აი-ჯი“ კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია. სსეკ-ის მთავარი სტრატეგიული ბიზნეს ერთეული მოიცავს ელექტროენერჯის გამომუშავებას და ბუნებრივი აირის რეალიზაციას. დღეისათვის სსეკ ამუშავებს 8 მცირე ჰიდროელექტროსადგურს საქართველოში და სტრატეგიული მნიშვნელობის თბოელექტროსადგურს, რომელიც მდებარეობს გარდაბნის რაიონში და უზრუნველყოფს საქართველოს მნიშვნელოვან ენერგორეზერვს. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

